

DRIVE:

**ციფრულად
მონყვლადი
მოქალაქეების
საჭიროებების
კვლევა**

**ხარისხობრივი კვლევა, დაინტერესებულ
მხარეებთან ინტერვიუები და რეკომენდაციები
ციფრულად მონყვლადი ჯგუფების შესახებ
საქართველოში**



ანგარიში შემუშავდა DRIVE პროექტის ფარგლებში, LUMINATE-ის მხარდაჭერით

ანგარიში წარმოადგენს ერთობლივ ნამუშევარს: მოამზადა ფედერაციო პლანტერამ, კრისტინა მანდის და კრისტინა რეინსალუს (eGA) მიერ ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით. კვლევის მეთოდოლოგიას კოორდინაციას უწევდა კრისტინა რეინსალუ, ხოლო პროცესში ჩართული იყო კატრინ ნიშან-მეტკალფი (eGA). ქართველმა პარტნიორებმა, თეონა ტურაშვილმა და დავით ერისთავმა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტიდან (IDFI), თავიანთი წვლილი შეიტანეს ერთობლივი პროექტის ყველა აღნიშნულ ფაზაში. ანგარიშს რედაქტირება გაუკეთა რადუ სერანომ, ხოლო დიზაინი მოამზადა სერგი ბურავჩენკომ.

ანგარიშის ქართული ვერსიის დიზაინი მოამზადა თეო ქირიკაშვილმა.

ანგარიშის ავტორები მადლობას უხდებიან თითოეულ რესპონდენტს, კვლევისთვის გამოყოფილი დროის, ცოდნისა და ძალისხმევებისთვის.

გამოცემის საავტორო უფლება ეკუთვნის ელექტრონული მმართველობის აკადემიას.

DRIVE: ციფრულად მონყვლადი მოქალაქეების საჭიროებების კვლევა

პროექტს ხელმძღვანელობდა ელექტრონული მმართველობის აკადემია (eGA), ხოლო პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) (საქართველო) და 2030: ტექნოლოგიები საჯარო კეთილდღეობისთვის (უკრაინა).

კვლევის მიზანია გადანყვეტილების მიღების პროცესში ციფრული ჩართულობის წახალისების, ციფრულ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესებისა და შესაბამისი პირობების, ცნობიერების და უნარების ხელშეწყობის გზით, უკრაინასა და საქართველოში მცხოვრები მონყვლადი მოქალაქეებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

გარდა სხვა მრავალი ფაქტორისა, რომელიც შესაძლოა ეხმარებოდეს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ციფრულ ჩართულობას, პროექტი DRIVE ორიენტირებულია ორ ძირითად შედეგზე: საჯარო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში (1) ცნობიერება ამაღლებულია ციფრულად მონყვლადი ჯგუფებისა და მათი საჭიროებების შესახებ, ციფრული წიგნიერების და ხელმისაწვდომობის საკითხებზე (საშუალებები/მექანიზმები და უნარები). (2) საჯარო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანამშრომლობენ, გაუმჯობესებულია მათი უნარები არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასევე, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და მონაწილეობითი ელექტრონული მმართველობის (მაგ. ახალი მექანიზმები, პლატფორმები, და ა.შ.) განსახორციელებლად, სამომავლოდ ციფრული უთანასწორობის პრევენციისთვის.

DRIVE პროექტის კონტექსტში, ციფრულად მონყვლადს მიეკუთვნებიან ის ჯგუფები, რომელთა ციფრული ჩართულობა პოლიტიკური გადანყვეტილების მიღების პროცესებში, და ელექტრონულ სერვისებზე წვდომა შეფერხებულია ციფრული საკითხების შესახებ ინფორმირებულობის, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ან/და ციფრული წიგნიერების და უნარების ნაკლებობით. ეს ბარიერები (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) ადამიანებს ციფრული ტრანსფორმაციის სარგებლის მიღებაში უშლის ხელს, რაც უარყოფითად აისახება მათ უფლებებზე, ინტერესებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

პროექტის მიზნების მისაღწევად, პარტნიორების მიერ განსახორციელებელი ძირითადი აქტივობები მოიცავს:

1. ეკოსისტემის განვითარების კვლევა უკრაინასა და საქართველოში (1) თითოეულ ქვეყანაში ორი ციფრულად მონყვლადი ჯგუფის იდენტიფიცირება; (2) ციფრულად მონყვლად ჯგუფებზე ორიენტირებულ აქტივობებსა და კვლევებში ჩართული დაინტერესებული მხარეების მოძიება და აღრიცხვა; (3) ყოვლისმომცველი ხედვის განსაზღვრა ციფრულად მონყვლადი ჯგუფების ძირითადი გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ, და შემდგომი შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა პროექტის ფარგლებში (სამოქმედო წინადადებები, ტრენინგები, საპილოტე პროექტები); (4) საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;

2. კვლევის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების გაზიარება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორისთვის, ასევე პრაქტიკული აქტივობების შეთავაზება, თუ როგორ გააუმჯობესონ სიტუაცია და იმუშაონ სხვადასხვა ციფრულად მონყვლად ჯგუფებთან საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით;

3. რეკომენდაციებზე დაყრდნობით სასწავლო მოდულის შემუშავება და დანერგვა (1) ორი

ონლაინ ტრენინგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და (2) ოთხი სემინარი საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. (3) დამატებით, სამოქმედო წინადადებების/გეგმების მომზადება ორივე ქვეყნისთვის;

4. ტრენინგებსა და სამოქმედო წინადადებებზე/გეგმებზე დაყრდნობით, ორივე ქვეყნისთვის თითო საპილოტე პროექტის შემუშავება და მისი განხორციელების ზედამხედველობა.

გარდა ამისა, eGA და ადგილობრივი პარტნიორები ერთობლივად მუშაობენ, როგორც კომპეტენციის ამაღლების ცენტრები, ხელს უწყობენ რეგიონში მიზნებისა და აქტივობების ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას და გავრცელებას, და თანამშრომლობენ რეგიონში მეტი კაპიტალის მოსაზიდად ციფრული ეკოსისტემებისთვის.

DRIVE ხორციელდება 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 31 აგვისტომდე და მხარდაჭერილია Luminate-ის გრანტით.

შესავალი

მუდმივი ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ვითარდება ტექნოლოგიები, მათთან ერთად მონყობილობები, შესაბამისად - მათი მოხმარების მაგალითებიც. ასეთი დინამიკური ბიძგი პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის საბოლოო მომხმარებლებსა და სუბიექტებზე. საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა სიმრავლით გამოირჩევა, უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა, თუ რა მიმართულებით ხდება განვითარება, ვინ და როგორ სარგებლობს ციფრული ტრანსფორმაციით, ასევე, ვინ და როგორ ჩამორჩება მას.

მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ ცვლადი გარემოებების შეფასებაში, რაც კონკრეტული სოციალური ჯგუფების მონყვლადობას წარმოშობს. ციფრულ ტრანსფორმაციიდან გამომდინარე, შესაძლებლობების და გამომწვევების პარალელურად, სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოვალეობაა შეაფასონ ცვლილებების გავლენები 1) სოციალური გარიყულობის; 2) დაუცველი ჯგუფების ფართო ეროვნულ ეკონომიკაში მონანილეობისა; და 3) არსებული უთანასწორობის გაუარესების პრევენციის თვალსაზრისით.

არსებული ტექნოლოგიური უთანასწორობის გათვალისწინებით, ციფრულად მონყვლადი ჯგუფები შესაძლოა პოტენციურად უფრო ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს დაექვემდებარონ ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად. პროექტის კონტექსტში, ციფრულად მონყვლადი ჯგუფები განისაზღვრებიან, როგორც

„ჯგუფები, რომელთა ციფრული ჩაბნობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პირობებში და ექსპლორირება სეზონებზე წვდომა შეფეხებულია ციფრული საკითხების შესახებ ინფორმირებულობის, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ან/და ციფრული წიგნიეხების და უნახების ნაკლებობით. ეს ბაჩიეხები (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.), ხედს უშდის ადამიანებს ციფრული გხანსფორმაციის სახგებდის მიღებაში, ხაც უახყოფითად აისახება მათ უფდებებზე, ინტეხებსა და ყოვედლიუხ ცხოვრებაზე.

ანგარიშში წარმოდგენილია კვლევითი აქტივობები, რომლებიც საქართველოში არსებული ციფრულად მონყვლადი ჯგუფების დაუცველობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებაზეა ორიენტირებული. პირველ ნაწილში წარმოდგენილი ციფრულად მონყვლადი ჯგუფების წინასწარი შეფასება სამავიდო კვლევას ეყრდნობა. ხოლო, მეორე ნაწილში წარმოდგენილია დარგის ქართველ ექსპერტებთან ჩატარებული ხარისხობრივი ინტერვიუების ანალიზი. აგრეთვე საკითხის ექსპერტების მოსაზრებებსა და ავტორების ანალიზზე დაყრდნობით, შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის შემუშავებულია რეკომენდაციები.

ციფრულად მონყვლადი ჯგუფები საქართველოში: ვინ და რატომ?

ციფრული მონყვლადობა, როგორც ფენომენი, განპირობებულია საზოგადოებაში გარიყულობის ან მონყვლადობის არსებული და ახალი გარემოებებით/მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია ძირითადად ეხება ციფრული ფორმით სერვისების მიწოდებას (საჯარო ადმინისტრირების გადმოსახედიდან), ცვლილების მასშტაბი და მისი შედეგები ფართოვდება, თუკი საზოგადოებას და ეკონომიკას ერთ ყოვლისმომცველ ჭრილში დავინახავთ.

ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) მეთოდოლოგიაში ევროკომისიის მიერ განსაზღვრულია ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით საზოგადოების განვითარების ეფექტურობის საზომი 3 ინდიკატორი 1) კავშირგაბმულობა; 2) ინტერნეტისა და ციფრული მონყობილობების/საშუალებების გამოყენება; 3) მოსახლეობის ციფრული უნარები (ევროკომისია, 2021). ამ ინდიკატორების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ციფრული სერვისების ხელმისაწვდომობის ხარისხის შეფასება და იმის დადგენა, თუ რამდენად სრულფასოვნად შეძლია საზოგადოებას ტექნოლოგიის შედეგად წარმოქმნილი საბაზრო და სოციალური სიკეთებით სარგებლობა.

საზოგადოების ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად, რაც ციფრულ განვითარებას ახლავს თან, დღის წესრიგში შესაძლოა დადგეს იმ ჯგუფების მონყვლადობის საკითხი, რომელთაც ეს იქამდე არ ეხებოდათ. ხოლო, ციფრული ტრანსფორმაციის წნეხის გამო, რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლოა კიდევ უფრო გამწვავდეს.

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში შინამეურნეობების 86% სარგებლობდა ინტერნეტით. თუმცა, თვალსაჩინოა მკვეთრი კონტრასტი გეოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად ქალაქებსა (91%) და რეგიონებს (78.9%) შორის (საქსტატი, 2022). უთანასწორობა ასევე შეინიშნება რეგიონებს შორის და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე დასახლებებში ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 60%-ს არ აღემატება (საქსტატი 2022).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიშის მიხედვით, „ამჟამად, საქართველოში ადგილი აქვს მკვეთრად გამოხატულ ციფრულ უთანასწორობას, რომელსაც ძირითადად გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს“. (IDFI, 2020). ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა გაერომაც (გაერო, 2020), რომლის თანახმად, „საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც მაღალი ადამიანური კაპიტალის მიუხედავად, პროგრესი გარკვეულწილად შეფერხდა მისი შედარებით სუსტი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გამო“.

ინტერნეტის გამოყენება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტზე წვდომის ფართო და თანაბარი განაწილების ნაკლებობა, ადგილობრივ მოსახლეობას იმ განვითარებასა და ბიზნეს შესაძლებლობებს უზღუდავს, რაც ინტერნეტისა და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას ახლავს თან. ტექნოლოგიასთან (როგორც არის სწრაფი ფართობოლოვანი ინტერნეტი) შემცირებული კონტაქტის ლოგიკურ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ციფრული უნარების არათანაბარი განვითარება სოფლებსა და ქალაქებში. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კონტრასტი აღინიშნება ასაკობრივ ჯგუფებს

შორის (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2020), რაც ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენების დროს, ახალგაზრდებსა და ასაკოვან პირებს შორის არსებული განსხვავებული საჭიროებებით შეიძლება აიხსნას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი, 2022 წ.) მონაცემებით, 6-დან 14 წლამდე ბავშვების 9%-ს ან არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი, ან ისარგებლა 3 თვეზე მეტი ხნის წინ - რაც ე.წ. „წითელი ხაზია“, პანდემიის შედეგად საჯარო სკოლების უმეტესობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის ფონზე. ამავე მონაცემების თანახმად, 60+ ასაკის ადამიანების 58.4%-ს არასოდეს გამოუყენებია ინტერნეტი. ამ უკანასკნელი ჯგუფის შემთხვევაში, ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნები უკავშირდება სოციალურ ქსელებს, ახალი ამბების ონლაინ რეჟიმში გაცნობასა და ონლაინ/ვიდეო ზარების განხორციელებას. მეორე მხრივ, 15-29 წლის ახალგაზრდები ინტერნეტს უფრო მრავალფეროვანი მიზნებისთვის იყენებენ, მათ შორის საქონლისა და მომსახურების, სამუშაოს ძიების, ასევე ინტერნეტ ბანკის გამოყენების კუთხით.

საერთო ჯამში, ასაკოვანი მოსახლეობა უმეტესწილად დაინტერესებულია სოფლის მეურნეობაზე ონლაინ ინფორმაციის მოძიებითა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავებთან კავშირის დამყარებით, ხოლო ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებით.

შემთხვევის შესწავლა (Case Study): ინტერნეტის გამოყენება და ციფრული უნარები ოზურგეთში

ზემოხსენებული ტენდენციები თანხვედრაშია კომუნიკაციების კომისიის (COMCOM, 2021) მიერ, პროექტ „Log-in Georgia“-ს ფარგლებში, ოზურგეთში ჩატარებული კვლევის შედეგებთან. კვლევის თანახმად, 65+ რესპონდენტების უმრავლესობა (79%) საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს. ხარისხობრივი ანალიზი მიუთითებს ორ ძირითად ჯგუფზე, რომელთათვისაც ინტერნეტ-ხელმისაწვდომობა გამოწვევას წარმოადგენს, კერძოდ, პენსიონერები და სოციალურად დაუცველი ოჯახები. ამის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია:

- შესაბამის ტექნოლოგიასა და მოწყობილობებზე წვდომის ნაკლებობა;
- ციფრული უნარების ნაკლებობა;
- ინტერნეტმომსახურების დასაფარი ფინანსური რესურსების ნაკლებობა;
- ინტერესის ნაკლებობა.

რაც შეეხება ციფრული უნარების აღქმას, ოზურგეთში ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეებმა, ყველაზე საჭირო ციფრულ უნარებად დაასახელეს შემდეგი (განლაგებულია პრიორიტეტების მიხედვით):

- „საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოძიება“ – აქტუალური იყო ყველა გამოკითხული ჯგუფის შემთხვევაში, განურჩევლად მათი ასაკის, სქესის, ეკონომიკური მდგომარეობის, თუ სხვა მახასიათებლისა;
- „ონლაინ თაღლითობის იდენტიფიცირება“ – ახსენა თითქმის ყველა ჯგუფმა;
- „სასარგებლო აპლიკაციების ცოდნა“ – აქტუალური იყო ყველა გამოკითხული ჯგუფის შემთხვევაში, განურჩევლად მათი ასაკის, სქესის, ეკონომიკური მდგომარეობის, თუ სხვა მახასიათებლისა.

ორმაგი მონყვლადობა ციფრულად მონყვლად ჯგუფების გამომწვევებს ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ამწვავებს/ზრდის

მიგნებებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ციფრული უთანასწორობა (კომუნიკაციასა და ინფრასტრუქტურაზე წვდომის ნაკლებობა) მჭიდროდ უკავშირდება არა მხოლოდ საჯარო

სერვისებზე ხელმისაწვდომობას, არამედ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორც არის განათლება. მაგალითად, სოფლად მცხოვრები არასრულწლოვანი ბავშვების შემთხვევაში წარმოიშვა მონყვლადობის ორმაგი გარემოება: IDFI-ის თანახმად, 2020 წლის ზაფხულის მონაცემებით, 35,000-მდე არასრულწლოვანს არასოდეს უსარგებლია ინტერნეტით ან/და არ ჰქონია წვდომა დისტანციური სწავლების საშუალებებზე. უარყოფითი ეფექტი კიდევ უფრო გააღრმავა ციფრულ ინსტრუმენტებზე COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა მზარდმა დამოკიდებულებამ.

საკმაოდ მწირია იმ ქართული კვლევების რაოდენობა, რომლებიც ციფრული მონყვლადობის განმაპირობებელ ფაქტორებს იკვლევს, თუ კი მოცემულ ანგარიშში სხენებულ, ან კვლევის/გამოქვეყნების პროცესში მყოფ ნაშრომებს არ ჩავთვლით. თუმცა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული მიმოხილვა, ციფრულად მონყვლადი ჯგუფების გაანალიზების საწყის ეტაპზე, ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად, ასაკობრივი ჯგუფების შესწავლას მიიჩნევს.

მეთოდოლოგია

საქართველოში ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, პროექტის ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, ნახევრად სტრუქტურირებული 17 თვისებრივი ინტერვიუ ჩავატარეთ. ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს დარგის ქართველმა ექსპერტებმა საჯარო სექტორიდან, კვლევითი ინსტიტუტებიდან, ასოციაციებიდან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები განსაკუთრებით ეფექტურია საძიებო კვლევის პირობებში. რესპონდენტებს ეძლევათ ისეთ საკითხებზე საუბრის შესაძლებლობაც, რაც კვლევითი გუნდის მიერ წინასწარ არ იყო გათვალისწინებული, თუმცა საკვანძო შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტული საკითხების სიღრმისეული ანალიზისთვის (Fedyuk and Zentai, 2018). თუ კი ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების შეფასებამ ასაკობრივი ჯგუფების შესახებ განუწყვეტელი ჰიპოთეზა არ დაადასტურა, ჩვენ მზად ვართ, უფრო სარწმუნო, ახალ თეორიაზე დაფუძნებულ პასუხებს დავეყრდნოთ. ჩვენს შემთხვევაში, მოცემული მეთოდის ნიუანსები ზედმიწევნით მოერგო.

რესპონდენტების შერჩევა ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების საწყისი შეფასების საფუძველზე, სამაგიდო კვლევის შედეგად მოხდა. სამიზნე ჯგუფებზე შეჯერების შემდგომ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ის სეგმენტიც გამოიკვეთა, რომელზეც აქცენტი უნდა გაკეთებულიყო.

ინტერვიუები 2022 წლის იანვარში, ნაწილობრივ ფიზიკურ სივრცეში (საქართველო), ნაწილობრივ კი ონლაინ რეჟიმში (Microsoft Teams-ის მეშვეობით), 10 დღის მანძილზე მიმდინარეობდა. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა ~30 წუთიდან ~50 წუთამდე მერყეობდა. გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მოხდა ტრანსკრიპტის ხელით (მანუალურად) გაშიფვრა, ჩანერილი ინტერვიუების ტრანსკრიპტირება და დამუშავება სპეციალური აპლიკაციის, Otter.ai-ის მეშვეობით განხორციელდა. კვლევის ანგარიშის სანდოობის უზრუნველსაყოფად, დამატებით გადამოწმდა გაშიფრული ინტერვიუების ორიგინალ ჩანაწერთან შესაბამისობა. ანგარიშს, უცვლელი სახით მოცემული ციტატები საჭიროებისამებრ, მეტი სიცხადისთვის დაემატა, რაც ასახულია “italic” ფორმატში.

კვლევის პროცესის ერთ-ერთ შემზღუდავ გარემოებას წარმოადგენს წინასწარ შერჩეულ რესპონდენტთა ხელმისაწვდომობა – გამოიკითხა მხოლოდ ის რესპონდენტები, ვინც თანხმობა განაცხადა თვისებრივ კვლევაში მონაწილეობაზე. გამოწვევას ასევე წარმოადგენდა ენის ბარიერიც – პრიორიტეტი მიენიჭათ ინგლისური ენის მცოდნე რესპონდენტებს, რათა მაქსიმალურად შემცირებულიყო ე.წ თარგმანში დაკარგულობის ფაქტორი.

თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

ჩატარებული 17 ინტერვიუდან, ქართველმა ექსპერტებმა იმ ცხრა ძირითად საკითხს გაუსვეს ხაზი, რომლებიც საქართველოში ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების გააზრებაში გვეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული საკითხები მთელ მოსახლეობას ეხება, მათი გავლენა ახალგაზრდებისა და მოხუცების შემთხვევაში ჩატარებული 17 ინტერვიუდან, ქართველმა ექსპერტებმა იმ ცხრა ძირითად საკითხს გაუსვეს ხაზი, რომლებიც საქართველოში ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული

ჩატარებული 17 ინტერვიუდან, ქართველმა ექსპერტებმა იმ ცხრა ძირითად საკითხს გაუსვეს ხაზი, რომლებიც საქართველოში ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების გააზრებაში გვეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული საკითხები მთელ მოსახლეობას ეხება, მათი გავლენა ახალგაზრდებისა და მოხუცების შემთხვევაში განსხვავებულია. აღნიშნული ვრცელდება არა მხოლოდ ცვლადის ორ უკიდურეს ნაწილზე, რომელიც კვლევის სანყის წერტილად იქნა შერჩეული (ასაკობრივი ჯგუფები), არამედ მთელ სპექტრზე - სხვადასხვა ასაკის ადამიანებს სხვადასხვა ციფრულ შესაძლებლობებსა და ელექტრონულ სერვისებზე წვდომა ესაჭიროებათ. შესაბამისად, უნარ-ჩვევებთან ერთად, რომლებიც მათ ამისათვის ესაჭიროებათ, არა მხოლოდ ასაკობრივი სპექტრის, არამედ მოსალოდნელი შედეგების მიხედვითაც განსხვავდება.

ხარისხობრივი ინტერვიუების ძირითადი მიგნებები ცხრა ძირითადი საკითხის მიხედვითაა ასახული, განსაკუთრებული აქცენტი კი ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების ასაკობრივ მახასიათებლებზე კეთდება. საკითხები წარმოდგენილია თანმიმდევრობით, მათი აქტუალობის მიხედვით, ჩატარებულ ინტერვიუებში ხსენების რაოდენობიდან გამომდინარე.

ძირითადი საკითხები

1. გეოგრაფიული მდებარეობა (9 ხსენება)

ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, ციფრული უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით მკვეთრი სხვაობა შეინიშნება რეგიონებსა და ურბანულ ცენტრებს შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია, გარკვეულწილად, ევროპის სხვა ქვეყნებშიც ვლინდება (ევროკომისია, 2021), საქართველო მაინც განსაკუთრებულ გამოწვევებს აწყდება მისი ტერიტორიული მახასიათებლებიდან გამომდინარე. როგორც ტელეკომუნიკაციების ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, „ციფრული მოწყვლადობის გამოწვევები ძიხითადად კონცენტრირებულია მაღალმთიან ჰეგიონებში“.

„მობილური მოწყობილობების საშუალებით ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის მზახი მაჩვენებლების“ მიუხედავად, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ცალკეული რეგიონის მრავალი სოფელი იზოლირებულია. აღნიშნული გარემოება ახალგაზრდებს ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების გამოყენებაში უშლის ხელს. მაგრამ, განსაკუთრებით პრობლემურია სკოლებსა და განათლებაზე, კერძოდ კი დისტანციურ სწავლებაზე წვდომის საკითხი. აღნიშნული გამოწვევა მეტწილად სოფლად მცხოვრებ არასრულწლოვანებს ეხებათ, და არა მათ ქალაქელ თანატოლებს.

„ხოცა ვსაუბრობთ გაჩუბნებზე, სოფლებზე, ან ჰეგიონებზე, ვაწყდებით ოხ დიდ ჰიობდემას. პიხვედ ხიგში, მათ ახ აქვთ შესაბამისი ინტერნეტკავშირი.“ მეორე, გარკვეულ ოჯახებს შესაძლოა ჰქონდეთ ინტერნეტზე წვდომა, თუმცა საჭირო ელექტრონული მოწყობილობების არქონიდან გამომდინარე, მაინც ვერ უზრუნველყონ ბავშვების დისტანციურ სწავლებაში ჩართვა. *„ხოდესაც საგანმანათლებლო სისტემა პანდემიის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა, მაშინვე გამოიკვეთა სხვადასხვა პიობდემა. [...] საქართველოში ჯეხ კიდევ ახის სოფლები, სადაც ინტერნეტი საეხთოდ ახ ახის ხედმისაწვდომი. იმ სკოლების შემთხვევაშიც კი, ხომდესაც აქვთ ინტერნეტი, მოსწავლის მხიდან მთელი დღის მანძილზე ინტერნეტზე წვდომის გახანტიას მაინც ვეხ იძღევა“*, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების პირობებში, ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც „სკოლები სამინისტროს შიდა სისტემით ახიან უზრუნველყოფილნი ინტერნეტით, ხახისხი ხშირად დაბაღია“.

შესაბამისად, ის ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების, ან ონლაინ მედიანიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, ხშირად ვერ ახერხებენ საკმარის დაინტერესების მოპოვებას. *„ეს ახის უნაჩების ნაკლებობაც, განსაკუთრებით მთიან ჰეგიონებში“*, - აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი. მიუხედავად განხორციელებული პროექტებისა, რომელიც დაინტერესების, უნარებისა და ციფრული წიგნიერების გაზრდისკენ იყო მიმართული, და რომლის სამიზნე აუდიტორიას როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკოვანი მოსახლეობა წარმოადგენდა, *„ეს საკითხი საქართველოსთვის მაინც ახადი, თუმცა მნიშვნელოვანია, გამომდინარე სოფლებსა და ქალაქებს შოხის ახსებუდი მნიშვნელოვანი განსხვავებიდან. თუმცა, ვფიქრობ, საქართველოს ნამდვილად აქვს ამ უთანასწორობის აღმოფხვხის პოტენციალი“*, ამბობს გამოკითხულთაგან ერთ-ერთი.

2. ციფრული ინსტრუმენტების/საშუალებების გამოყენების უნარები, ხელმისაწვდომობა და ინფორმირებულობა (9 ხსენება)

ამ მიმართულებით, საქართველო მსოფლიო ბანკთან ერთად ამბიციურ პროექტს, Log-in Georgia-ს ახორცილებს, რომელიც ინფრასტრუქტურასთან ერთად, ციფრული წიგნიერების განვითარებაზეა ორიენტირებული. განვითარების გეგმა ამოცანების ფართო სპექტრს მოიცავს, რომლებიც ძირითადად მოიაზრებენ „ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და მისი გამოყენების ხელშეწყობას კერძო პირებისა და საწარმოების მიერ, წინასწარ შერჩეულ რეგიონულ დასახლებებში“ (მსოფლიო ბანკი, 2020). გარდა ამისა, პროექტს აქვს კონკრეტული ქვეკომპონენტები, რომლებიც მონყვლადი ჯგუფების ციფრული ინკლუზიის გაძლიერებას ისახავს მიზნად, რაც მოიაზრებს როგორც მატერიალურ საშუალებებს, ასევე ჩართულობის მექანიზმებს (მსოფლიო ბანკი, 2020).

დღეს მდგომარეობით, ციფრული უნარების ნაკლებობა წარმოადგენს „ბაჩიეხს, ხომელიც მოქალაქეებს ახ აძღვეს ედექტხონული კომეხციის, ედექტხონული საგადასახადო და ედექტხონული დემოკრატის სისტემებისგან სახეების მიღების“ ან თუნდაც, საბაზისო ონლაინ სერვისებზე წვდომის საშუალებას, როგორც ამას ჩვენი რამდენიმე რესპონდენტი უსვამს ხაზს. ასევე, „ზოგიერთი სეხვისი საკმაოდ წახმატებულია, მაგამ ბეხი მათგანი კატასტროფა“, ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი და ასახელებს ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის პრობლემის რამდენიმე მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვან მოქალაქეებს შესაძლოა მეტწილად აწუხებდეთ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა, ისინი ასევე ამჟღავნებენ დაბალ დაინტერესებას ელექტრონული სერვისების გამოყენებისადმი - 65+ წლის ყოველი 5 მოსახლიდან მხოლოდ 1 გამოხატავს დაინტერესებას საკითხისადმი, როგორც ეს ადგილობრივი რეგიონალური გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა. ინტერნეტით დაინტერესება უფრო მაღალია, როდესაც საქმე ეხება ამინდის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ან ნათესავებთან ვიდეო-ზარებით კომუნიკაციას.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობები „საერთოდ არ არიან მონყვლადები“ ციფრული წიგნიერების თვალსაზრისით. „ახალგაზრდებს გაცილებით მეტი წვდომა აქვთ ტექნოლოგიებზე, ვიდრე ასაკოვან მოსახლეობას. ეს ვდინდება თითქმის ნებისმიერ გამოკითხვაში, ხომელიც ამ საკითხზე გახდება. თუ ვსაუბრობთ ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ახ მგონია, ხომ ახალგაზრდებს ახსებითად აწუხებდეთ ტექნოლოგიებზე ხედმისაწვდომობის პრობლემა“, - ამბობს რესპონდენტი. კიდევ ერთი რესპონდენტის მიერ განხორციელებული კვლევის მონაცემები ამყარებს აღიშნულ მოსაზრებას - შერჩეულ სოფლებში, ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა ინტერნეტის მომხმარებელია. მათგან დაახლოებით 97% მობილურ ტელეფონს ან სმარტ ფონს დასაკავშირებლად იყენებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები და ახალგაზრდები შეიძლება იყვნენ ქვეყანაში ყველაზე ციფრულად წიგნიერი დემოგრაფიული ჯგუფები, რამდენიმე რესპონდენტის თქმით, ეს არ გამოირიცხავს მათ მიმართ არსებულ რისკებს. სწორედ ინტერნეტისა და ონლაინ ინსტრუმენტების ხშირი გამოყენება შეიძლება განაპირობებდეს კიბერ ჰიგიენის საფრთხეების მატებას.

საკითხი უფრო რთულდება, როცა აქცენტი არასრულწლოვანებსა და სკოლებზე გადადის. რესპონდენტთა აზრით, მოსწავლეები, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად ეუფლებიან ინტერნეტსა და ციფრულ ინსტრუმენტებს - რაც პირველ რიგში მშობლების ციფრული უნარების ნაკლებობაზე მიუთითებს. ისინი ვერ ახერხებენ სათანადო ცოდნის გადაცემას, იქნება ეს ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარების, თუ მისი შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებს ასევე დაჩქარებულ რეჟიმში მოუწიათ დისტანციური სასკოლო ინსტრუმენტების ათვისება, რათა პანდემიით გამოწვეულ საგანგებო რეჟიმთან ადაპტირება მოეხდინათ. მიუხედავად იმისა, რომ (ზოგიერთი) სკოლა, UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერის შედეგად აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიებით, მათი „კახები ხშირად დაკეტილია“ კომპიუტერების შენარჩუნების მიზნით. „საბოლოო ჯამში, დაბოხაგოხიებს საგაკვეთილო პროცესში მხოლოდ IT მასწავლებლები იყენებენ. მაშინ ხოდესაც ამ ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენებით, სკოლებს შეუძლიათ დამატებით ხედი შეუწყონ მთელ ხიგ სხვა აქტივობებს“.

3. ენის ბარიერები (7 ხსენება)

კიდევ ერთ, მკაცრად დემოგრაფიულ და კულტურული მონყვლადობის ფაქტორად წარმოდგენილია ენობრივი ბარიერები. აზერბაიჯანულად და სომხურად მოსაუბრე უმცირესობებისთვის რთულია მხოლოდ ქართულ ენაზე არსებულ ონლაინ სერვისებზე წვდომა - „მათ შოხის, COVID-ის ვაქცინაციის შესახებ მონაცემები“. „სამთავრობო უწყებების უმეტესობას ახ აქვს ყველა სეხვისზე ყველა გვეხის მხავად ენაზე თახგმნის სათანადო ხესუსი“, -

ამბობს ერთ-ერთი ხესპონდენტი. „ასე ხომ, შეიძლება წავაწყდეთ ისეთ [პაჩაოქსუდ] ვითაჩებას, ხოლესაც ამ ადამიანებს აქვთ უნაჩები და წვდომა ინტერნეტზე, მაგჩამ აჩ ფდობენ ენას ედექტონული სეჩვისების გამოსაყენებდა.“

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სერვისების სამთავრობო პორტალი My.gov.ge ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც, შესაბამის ენაზე მხოლოდ გარკვეული სერვისების ზოგადი აღწერაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით, სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ვებგვერდის შესახებ ინფორმაციისა და ცნობიერების ნაკლებობა – ე.ი. შესაძლოა უმცირესობათა ჯგუფებს სათანადოდ არ მიეწოდებოდეთ ინფორმაცია არსებული საჯარო სერვისების შესახებ, სწორედ ენობრივი ბარიერის გამო.

ერთ-ერთი რესპონდენტი ყურადღებას ინგლისური ენის არცოდნაზეც ამახვილებს. ეროვნულ ენაზე საჯარო სერვისებისა და სამთავრობო ვებგვერდების გარდა, ინტერნეტში ხელმისაწვდომია დიდი რაოდენობით სასარგებლო სხვა ინფორმაცია ინგლისურ ენაზე, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს თვითგანვითარების, ელექტრონული კომერცის, ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით. „შესაბამისად, ენობრივი ბარიერი გამოწვევაა მათთვისაც, ვინც აჩ ფდობს ინგლისურ ენას. ქაჩთუდი საიტი ძალიან ცოტაა, ამიტომ ქაჩთუდ ენაზე ხედმისაწვდომი კონტენტი ინტერნეტში აჩსებული მასალის ძალიან მცირე წილს წაჩმოადგენს“, - აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი. შესაბამისად, ქართულ ენაზე არსებული ინფორმაციის ბუნებრივად შეზღუდული რაოდენობიდან გამომდინარე, ენობრივი ბარიერის გამომწვევად ასევე შეგვიძლია მოვიზროთ ინგლისური ენის არცოდნა.

ეს გამომწვევა მნიშვნელოვანია მედია წიგნიერების თვალსაზრისითაც, რადგან არაქართულენოვანი უმცირესობები შესაძლოა უფრო მიდრეკილნი იყვნენ უცხოენოვანი მედიის მოხმარებისკენ. ასევე გასათვალისწინებელია პირადი არჩევანის ფაქტორიც: უმცირესობათა ჯგუფებს შესაძლოა უბრალოდ ერჩივნოთ ინფორმაციის მიღება საკუთარ ენაზე, რაც მათ ამორებთ ქვეყანაში აქტუალური საკითხების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას და ცოდნას, მიმდინარე აქტუალურ საკითხებს და სერვისებს, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ქართულად.

4. მედია წიგნიერება (7 ხსენება)

მრავალფეროვანი მედია საშუალებებისა და ინფორმაციის პირობებში ნავიგაცია დღესდღეობით საკმაოდ რთულია. განსაკუთრებით ციფრულად მონყვლადი ინდივიდებისთვის, რომლებსაც შეიძლება არ გააჩნდეთ შესაბამისი ცოდნა და საშუალებები, და შედეგად უფრო მარტივად გახდნენ დეზინფორმაციის მსხვერპლნი. თუმცა, ამ თემაზე ჩვენი რესპონდენტების შეხედულებები საკმაოდ მრავალფეროვანია.

როგორც გამოკითხულთაგან ერთ-ერთი ამტკიცებს, ფართოდაა გავრცელებული „ინფორმაციის გადამოწმების მეთოდების შესახებ ცოდნის ნაკლებობა და შესაბამისად, ავვიღია ტხოვების ქაჩხნებისა და მსგავსი საშუალებებით ნებისმიეჩი ასაკის აუდიტორიით მანიპულიეჩება“. იგივე რესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ რთულია ასაკობრივ ჯგუფებს შორის არსებული დამოკიდებულებების სხვაობის დადგენა, რადგან მედიის მოხმარებასთან დაკავშირებით ჯერ არ ჩატარებულა ყოვლისმომცველი კვლევა. ამავე საკითხზე, კიდევ ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ერთ-ერთი გამოკითხვის ფარგლებში შერჩეულ სოფლებში მოქალაქეებს აქვთ ზოგადი წარმოდგენა იმ აქტივობების აუცილებლობის შესახებ, რომლებიც აამაღლებს მათ მედიაწიგნიერებას.

რესპონდენტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ასაკოვანი მოქალაქეები უფრო ადვილად ექცევიან დეზინფორმაციის ან მედია-მანიპულაციის გავლენის ქვეშ - თუმცა, ეს ნაკლებად ხდება ონლაინ სივრცეში იმის გათვალისწინებით, რომ ციფრული ინსტრუმენტების და ინტერნეტის გამოყენება ამ ასაკობრივ ჯგუფში შედარებით დაბალია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. „მონაცემები [ხოდენობრივი, 60 000 ინტერვიუდან] აჩვენებს, ხომ ახალგაზრდები ყვედაზე ნაკლებად მოწყვადები აჩიან. მათ აქვთ მტკიცე პხოდასავლეჩი შეხედულებები და ყვედაზე მეტად აჩიან დაჩმუნებუდნი ამ შეხედულებებში. [...] ვიცი, ხომ ახალგაზრდებზე საუბაჩი აქტუალეჩია, თუმცა “მათთან ყვედაფეჩი ჩიგბეა” იქნება ჩემი მთავაჩი სათქმედი ამ საკითხზე“.

ძირითადი საკითხები

1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (4 ხსენება)

სამი რესპონდენტის აზრით, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ძირითადად სიღარიბეში მცხოვრებ ახალგაზრდებს ეხება. მეოთხე რესპონდენტმა ისაუბრა საზოგადოებაში არსებულ მზაობაზე - ამაღლდეს ცნობიერება და გაუმჯობესდეს ციფრული უნარები. მან ასევე ხაზი გაუსვა „თაობათა შორის“ სიღარიბის აღმოფხვრის აუცილებლობას, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ ამ შესაძლებლობების გამოყენება.

2. კიბერუსაფრთხოება (4 ხსენება)

ოთხიდან სამ რესპონდენტს მიაჩნია, რომ კიბერუსაფრთხოების და კიბერპრივიციის საკითხები საყურადღებოა განურჩევლად ასაკობრივი ჯგუფისა, ხოლო მეოთხე რესპონდენტის აზრით, 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდები ყველაზე უსაფრთხოდ არიან ამ თვალსაზრისით. „*ხოცხაც საქმე ეხება ციფრულ საკითხებს, ახალგაზრდები ნამდვირად აჩიან ყველაზე მაღალი უნახების და ხედმისაწვდომობის მქონე, და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლებად მოწყვლადი ჯგუფი საქაჩთველოში.*“ თუმცა, მნიშვნელოვანია გამოვყოთ კიბერუსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტები. კიბერუსაფრთხოების ცნება მოიაზრებს როგორც მედიანგნიერებასთან (საერთაშორისო აქტორების ზეწოლის ფონზე), ისე, ეროვნული საკომუნიკაციო და ციფრული სერვისების გამართულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მედიანგნიერება ცალკე საკითხად გამოიყო (იხ. ზემოთ), ანალოგიურ ყურადღებას იმსახურებს მონაცემთა დაცვა და ის რისკები, რომლებიც აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების, ჟურნალისტების საქმიანობიდან, ან ინტერნეტის ხშირი გამოყენებიდან გამომდინარეობს.

3. შეზღუდული შესაძლებლობები (3 ხსენება)

ჩვენი სამი რესპონდენტის შეფასებით, ციფრულად ყველაზე მონყვლად ჯგუფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განეკუთვნებიან. ისინი აწყდებიან ყველაზე მძიმე - და ნაკლებად სოციალურ-ეკონომიკურ - ე.წ. გამონკვევებს ტექნოლოგიებზე წვდომისა და მათი გამოყენების თვალსაზრისით.

4. გენდერი (2 ხსენება)

საქართველოში მონყვლადობის განმაპირობებელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, გენდერი შედარებით მსუბუქ ინდიკატორად აღიქმება. თუმცა, გენდერული განსხვავებები კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ორი დემოგრაფიული ცვლადის ერთობლიობამ დამატებითი მონყვლადობის ფაქტორი გამოიწვიოს, როგორც ეს რეგიონებში მცხოვრები ქალების შემთხვევაში იკვეთება.

როგორც რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, არასაკმარისი ციფრული უნარები არაპროპორციულად შეიძლება ახდენდეს გავლენას სოფლად მცხოვრებ ქალებსა და მამაკაცებზე ოჯახური როლების განაწილების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც, მონყვლადობის ძირითადი ფაქტორი შეიძლება გეოგრაფიული მდებარეობა იყოს (იხ. ზემოთ), ასევე მნიშვნელოვანია გენდერის, როგორც დამატებითი ფაქტორის გათვალისწინება ქვეყნის გარკვეულ ნაწილზე.

დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთმიმართება

რესპონდენტებმა დაასახელეს ციფრული მოწყვლადობის აღმოფხვრაში ჩართული შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ცენტრალური ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
- ადგილობრივი თემის ლიდერები.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი უფრო თვალსაჩინოა განათლებისა და საჯარო სერვისების საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციებისა და ციფრული მმართველობის საკითხებზე სპეციალიზებული სამთავრობო უწყებები აქტიურად მუშაობენ ხსენებულ საკითხებზე, ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, მეტის გაკეთება იქნება შესაძლებელი, თუ თანამშრომლობა ჩამოყალიბდება საჯარო სექტორის სხვა დაინტერესებულებთანაც.

ეს ძირითადად შეეხება ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, რათა გაიზარდოს მათი მასშტაბი და ჩართულ მხარეთა რაოდენობა. ასევე, მასწავლებლები და განათლების სექტორში მომუშავე პირები აღიჭურვიან აუცილებელი უნარებით, რათა 1) საჭიროებისამებრ შეძლონ დისტანციური სწავლების რეჟიმზე ეფექტურად გადასვლა, და 2) სკოლებში დაიწყონ ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებითად გამოყენება. ამ საკითხზე, მიჩნეულია, რომ პირველ რიგში სკოლების პასუხისმგებლობაა, მოსწავლეები სათანადოდ უზრუნველყონ ციფრული საშუალებებით.

ამ მიმართულებით, პასუხისმგებლობების და ამოცანების განაწილების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა, ვინაიდან განათლების სექტორის მენეჯმენტი/მართვა განსხვავდება როგორც განათლების საფეხურების (საბავშვო ბაღი, დაწყებითი, საშუალო), ასევე ადმინისტრაციული დონეების მიხედვით. ასეთმა განაწილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივად განსახორციელებელი ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებისთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების გამოყენებაზეც.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ხშირად მოიაზრებენ მთავრობისა და ხალხის დამაკავშირებელ აქტორებად. თუმცა, როგორც ჩანს, დაბალია ცნობიერების დონე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ადგილობრივად განხორციელებული აქტივობების შესახებ. მართალია არის შემთხვევები, როდესაც ამ აქტივობებს მხარს უჭერენ ადგილობრივი თემის ლიდერები, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ მაღალი დონის კოორდინაციის არარსებობის გამო, იქმნება სიტუაცია, სადაც ყველა აქტორი - გაუცნობიერებლად - მოქმედებს განყენებულად. ამ პრობლემაზე საუბრობს ყველა რესპონდენტი. აქედან გამომდინარე, აშკარაა ისეთი მექანიზმის (მაგ. მმართველი კომიტეტი) საჭიროება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ აქტივობების უკეთ დაგეგმვასა და ორგანიზებას, და შეამცირებს ძალისხმევის დუბლირების ალბათობას.

შენიშვნა: როცა მონყვლადობის ფაქტორები ერთმანეთს ემატება

საქართველოში ჩატარებულმა ხარისხობრივმა ინტერვიუებმა გამოააშკარავა მანამდე მკვლევრების მიერ მონყვლადობის დინამიკის შესწავლისას ხშირად უყურადღებოდ დატოვებული ფენომენი. საზოგადოებაში, მონყვლადობის ფაქტორები შესაძლოა სათითაოდ არ განსაზღვრავდნენ და გავლენას არ ახდენდნენ ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე. ისინი ხშირად ემატებიან ადამიანის სხვა მახასიათებლებსა და ნიშნებს, იქნება ეს დაკავშირებული ჯგუფის იდენტობასთან თუ მათ ინდივიდუალურ გამოცდილებასთან (Simien, 2007; Purdie-Vaughns and Eibach, 2008). იმისათვის, რომ შევიმუშაოთ რეკომენდაციები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) გასაერთიანებლად, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მონყვლადობის ფაქტორები შეიძლება ერთმანეთს დაემატოს და აკუმულირდეს.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ განათლების სექტორი.

- **მონყვლადობის პირველი ფაქტორი:** დისტანციურმა სწავლებამ შეაფერხა რეგულარული სასწავლო პროცესი და შეცვალა მოზარდების ცხოვრების რეჟიმი მთელს მსოფლიოში;
- **მონყვლადობის მეორე ფაქტორი:** უფრო მეტად დაიჩაგრნენ ისინი, ვისაც სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო არ მიუწვდებოდათ ხელი ციფრულ მონყობილობებზე, რათა სათანადოდ გადართულიყვნენ დისტანციურ რეჟიმზე;
- **მონყვლადობის მესამე ფაქტორი:** კიდევ უფრო მძიმე ვითარების წინაშე აღმოჩნდნენ რევიონულ ან მალაღმთიან დასახლებებში მცხოვრებნი, სადაც ინტერნეტზე წვდომა სუსტია ან საერთოდ არ არსებობს;
- **მონყვლადობის მეოთხე ფაქტორი:** ისინი ვინც, ყველაფერთან ერთად, დამატებითი გარემოებების გამო სოციალურად მონყვლადი ჯგუფია, შესაძლოა კიდევ უფრო განიცდიან ციფრულ მონყვლადობას, მაგალითად: ლგბტქია+ ახალგაზრდები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და ისინი, ვინც აწყდებიან პრობლემებს მათ მხარდამჭერ ჯგუფებთან ან/და მათთვის განკუთვნილ სერვისებთან ონლაინ ხელმისაწვდომობისა და კონფიდენციალურობის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაგალითი განათლების სექტორს ეხება, ანალოგიური მოდელის განვრცობა შესაძლებელია განვითარებისა და ბიზნეს შესაძლებლობების მაძიებელ ახალგაზრდებზე, ან ასაკოვან მოქალაქეებზე, რომლებიც ინტერნეტს იყენებენ ინფორმაციის მოსაძიებლად და ახლობლებთან საკომუნიკაციოდ.

რეკომენდაციების შემუშავებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ და სიღრმისეულად შევისწავლოთ, თუ როგორ იწვევს უთანასწორობა კუმულაციურ ზემოქმედებას იმ მონყვლად ჯგუფებზე, რომელთა საჭიროებები - ერთ დემოგრაფიულ ცვლადზე დაკვირვების გამო - კეთილშობილური განზრახვების მიუხედავად, შესაძლოა ყურადღების მიღმა დარჩეს.

რეკომენდაციები

საჯარო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან გამოთქმული მოსაზრებების ანალიზიდან გამომდინარე, რეკომენდირებული აქტივობები უნდა

ითვალისწინებდეს ორ მთავარ ასპექტს: 1) აქტუალური გამოწვევები, რომლებსაც ციფრულად მონყვლადი ჯგუფები აწყდებიან ციფრული შესაძლებლობებით სარგებლობის პროცესში, და 2) ციფრულ მონყვლადობასთან გასამკლავებელი ყოვლისმომცველი სტრატეგიის არარსებობიდან გამომდინარე, კოორდინაციისა და ამოცანების განაწილებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები.

რეკომენდაციები წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებით, რათა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებზე საჯარო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მიეცეთ განხილვისა და მსჯელობის საშუალება, შემდგომი სამოქმედო გეგმების და პროექტების შესამუშავებლად.

რეკომენდაციების შემუშავების საბოლოო მიზანია საქართველოში იდენტიფიცირებული მონყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, გადამწყვეტილების მიღების პროცესში მათი ციფრული ჩართულობის ზრდითა და სერვისების გამოყენებით, ასევე, ამის მისაღწევად საჭირო პირობების, ცოდნისა და უნარების უზრუნველყოფით.

კერძოდ, ეს რეკომენდაციები ეხმიანება პროექტის მიზნებს იმით, რომ საჯარო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეცოდინებათ ციფრულად მონყვლადი ჯგუფების საჭიროებები, გაიმჯობესებენ ამ ჯგუფებთან ურთიერთობის უნარებს და მოახდენენ ციფრული უთანასწორობის კიდევ უფრო გაღრმავების ან გაუარესების პრევენციას. რეკომენდაციები წარმოდგენილია სასურველი შედეგების სახით, რის მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები გამოიკვეთება პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაო შეხვედრების დროს.

ციფრული მონყვლადობის და ციფრულად მონყვლადი ჯგუფების შესახებ ცნობიერება

ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უნდა აცნობიერებდნენ თუ რა არის ციფრული მონყვლადობა, ვინ არიან ციფრულად მონყვლადი ჯგუფები, და რა არის მათი ძირითადი საჭიროებები. როგორც აღმოჩნდა, გამოწვევებს შეიძლება განაპირობებდეს გეოგრაფიული მდებარეობა, ინფრასტრუქტურაზე წვდომის ხარისხი, ციფრული უნარები, ენობრივი ბარიერები და სხვა ფაქტორები.

ახალი პოლიტიკის, სერვისებისა და პროექტების შემუშავებისას, ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, დონორებმა და კერძო სექტორმა სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ და კრიტიკულად შეაფასონ აღნიშნული პოლიტიკა, სერვისები თუ პროექტები. ამის მიზანია დადგინდეს პოტენციური გავლენა - დადებითი, ნეიტრალური, თუ უარყოფითი - რაც შეიძლება შესაბამის მოქმედებას ჰქონდეს ციფრულად მონყვლადი ჯგუფებზე.

პროექტების სტრატეგიულად დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა, ციფრული უთანასწორობის მონიტორინგისა და შეფასების პარალელურად

ფინანსური დახმარებისა და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის თვალსაზრისით, საქართველოში მოქმედმა დონორ ორგანიზაციებმა და ფონდებმა ციფრული მონყვლადობის საკითხები უნდა გაითვალისწინონ საგრანტო შესაძლებლობებისა და პროგრამების დაგეგმვის, გამოცხადებისა და განხორციელების პროცესში.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, თავის მხრივ, უნდა გაითვალისწინონ ციფრული მონყვლადობა, რათა არა თუ გააუარესონ, არამედ შეამცირონ არსებული უთანასწორობა პროექტების, სერვისების მიწოდებისა და ადვოკატირების აქტივობების მეშვეობით. მიზანშეწონილია გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები და ცნობიერება დაფინანსების ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ, განსაკუთრებით იმ პროექტების შემთხვევაში, რომლებიც მიზნად ისახავს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ჯგუფების ციფრული მონყვლადობის პრობლემებთან გამკლავებას.

სექტორებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ ერთობლივად შეიმუშაონ ციფრულად

მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებსა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული ეფექტური აქტივობები. გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და აქტიური ჩართულობა უნდა იყოს ინკლუზიური ელექტრონული მმართველობის ინიციატივების ქვაკუთხედი.

ეს შესაძლებელია, როდესაც ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს აქვთ ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის ერთიანი გაგება, ისეთი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების თვალსაზრისით, რომლებიც მოითხოვენ ერთ, ან მრავალ სექტორში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას.

მაგალითად, თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, ან ხელისუფლებასა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის და ა.შ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPPs) მნიშვნელობას ახალი მიდგომების, მართვის პროცესების დანერგვისა და დაფინანსების შესაძლებლობების მიმართულებით. ერთიანი ძალისხმევით, საჯარო და კერძო სექტორებს შეუძლიათ უკეთ განსაზღვრონ მოქალაქეების საჭიროებები, და გაიზიარონ ისეთი საკითხების გადაწყვეტის ტვირთი, როგორცაა ციფრული უნარების განვითარება.

გაძლიერებული კომუნიკაცია და ცნობიერება მიმდინარე რელევანტური პროექტების შესახებ

დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობის თავისებურებებისა და ციფრულად მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან გამომდინარე, რომლებიც ხაზგასმულია აღნიშნულ ანგარიშში, იკვეთება მონყვლადი ჯგუფების დახმარებაზე მომუშავე ორგანიზაციების აქტივობებისა და მიზნების „დუბლირების“ ალბათობა/რისკი. ეს გამოწვევა განპირობებულია მიმდინარე პროექტების და აქტივობების შესახებ ცნობიერების ნაკლებობით. ეს უკანასკნელი საჭიროა ასევე ადგილობრივი გარემოებების შესახებ ინფორმირებულობის, ნდობის მოპოვებისა და ციფრულ სერვისებთან, ხელმისაწვდომობასთან, მოსახლეობის უნარებთან და ა.შ. დაკავშირებული ფაქტების, მონაცემებისა და სტატისტიკის შესახებ სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

აუცილებელია არსებობდეს ციფრულად მონყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული მიმდინარე ან განხორციელებული ინიციატივების, პროექტების და სერვისების შესახებ განახლებული ინფორმაცია/მიმოხილვა. ასეთი მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სექტორებსა და მმართველობის დონეებს: ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საჯარო-კერძო პარტნიორობები, და დონორები. ამ საკითხზე რესპონდენტების მოსაზრებები მიუთითებს ერთიანი, ყოვლისმომცველი რეესტრის/ბაზის არსებობის აუცილებლობაზე, რომელიც გააერთიანებს ყველა რელევანტურ პროექტს, კვლევებს, გამოკითხვებს, ანგარიშებს, დაფინანსების შესაძლებლობებს, და შესაბამის პროექტებში ჩართულ ორგანიზაციებს, ასევე ციფრული მონყვლადობის დაძლევაზე მიმართულ დასრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს.

მნიშვნელოვანი საკითხების და იმ უნარების არსობრივი გაგება, რომლებიც პოლიტიკის შემუშავება/ჩართულობისთვის და სერვისების შექმნა/შეთავაზებისთვის არის საჭირო

კვლევის ფარგლებში ჩართულ რესპონდენტთა გამომხატულებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ აქტივობები, რომლებიც მიმართულია ციფრულ მონყვლადობაზე და გულისხმობს ციფრული უნარების განვითარებას, მოითხოვს მაღალ კონკრეტიკას/სიზუსტეს. მიგნებებში ხაზგასმული მნიშვნელოვანი საკითხებიდან, ციფრულად მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების რამდენიმე მიმართულება იკვეთება:

- ყურადღების გამახვილება გეოგრაფიულ სხვაობებზე, იქნება ეს ქალაქებსა და სოფლებს შორის, თუ ვაკე და მთიან რეგიონებს შორის. ინფრასტრუქტურისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება უნდა იყოს მონიტორინგისა და ადვოკატირების აქტივობების ქვაკუთხედი. ამგვარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურად შეჭირვებული რეგიონებისთვის დახმარების დამატებითი წყაროების მოძიებებს;
- სკოლებში ინტერნეტსა და მონყობილობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რათა მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგაც ჰქონდეთ წვდომა ციფრულ ინსტრუმენტებზე.

- ეს შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებისთვის, ამავდროულად, ციფრულად მონყვლადი სხვა სოციალური ჯგუფებისთვის სკოლების ხელმისაწვდომობამ, შესაძლოა გზა გაუხსნას ცნობიერების ამაღლებისა და მოსახლეობაში საბაზისო უნარების განვითარების უფრო ამბიციური პროგრამებს;
- ინფორმაციის მოხმარების მიმართ კრიტიკული მიდგომებისა და ხედვის განვითარება, რადგანაც ეს იქცა საფრთხილო საკითხად განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან გარე გეოპოლიტიკურ ზეწოლას, ან ყავთ ლინგვისტური უმცირესობები;
- სამიზნე აუდიტორიისთვის ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებსა და პრაქტიკულ მაგალითებზე, რომელთა დახმარებითაც გაციფრულების სარგებელი თვალსაჩინო და ადვილად აღსაქმელია. ეს გულისხმობს ისეთი ციფრული გადანყვეტების შექმნას და გაუმჯობესებას, რომლებიც პასუხობენ ადამიანების ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საჭიროებებს.

დანართი 1

წყაროები

- COMCOM (2021). თემის საჭიროებების შეფასება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 დასახლებაში, რომელიც კომისიამ გაუზიარა IDFI-სა და eGA-ს, 2022 წლის თებერვალში.
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2020). კავკასიის ბარომეტრი 2020 საქართველო, <http://www.crrcenters.org/caucasusbarometer/> თებერვალი 2022.
- ევროკომისია (2021). ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი (DESI) 2021 – DESI მეთოდოლოგიური შენიშვნა. <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/desi> თებერვალი 2022.
- Fedyuk O., Zentai V. (2018). ინტერვიუ მიგრაციის კვლევებში: ნაბიჯი დიალოგისა და ცოდნის ერთობლივი წარმოებისკენ? თვისებრივი კვლევა ევროპის მიგრაციის კვლევებში, https://doi.org/10.1007/978%E2%80%9333%E2%80%93319%E2%80%93376861%E2%80%9338_10
- საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2022). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/106/information-and-communication-technologies-usage-in-households> თებერვალი 2022
- IDFI-ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2020). ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში. https://id-fi.ge/en/internet_access_and_use_in_georgia
- Purdie-Vaughns V., Eibach R. P. (2008). ინტერსექციული უხილავობა: დაქვემდებარებული ჯგუფის იდენტობის გამორჩეული უპირატესობები და ნაკლოვანებები, გენდერული როლები, 59, 377-391. <https://doi.org/10.1007/s11199%E2%80%93008%E2%80%93939424%E2%80%93934>
- Simien E. M. (2007). ინტერსექციურობის კვლევები: კონცეპტუალური საკითხებიდან პრაქტიკულ მაგალითებამდე, პოლიტიკა და გენდერი, 3(2), 246-271. <https://doi.org/10.1017/S1743923X07000086>
- მსოფლიო ბანკი (2020). Log-In Georgia – საპროექტო დოკუმენტი, თებერვალი 2022.
- გაერო (2020). გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევა 2020. <https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey%E2%80%932020>

ანგარიშში მოხსენიებული პროექტები

Log-In Georgia

დამტკიცების თაჩილი: აგვისტო 2020 | დასრულების თაჩილი: დეკემბერი 2025

პასუხისმგებელი უწყებები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კომუნიკაციების კომისია, ოუფენ ნეტი, ფინანსთა სამინისტრო.

პროექტი მიზნად ისახავს მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, ციფრული სერვისების (მათ შორის ციფრული საჯარო სერვისების) გამოყენების ხელშეწყობას და ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ქვეყნის მასშტაბით.

დანართი 2

რესკონდენტების ნუსხა

სახელი	პოზიცია	ორგანიზაცია
ირაკლი გვენეტაძე	ელექტრონული მმართველობის ექსპერტი; მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ყოფილი დირექტორი	-
მარიამ სულაბერიძე	დირექტორი	ოუფენ ნეტი
თამარ კინწურაშვილი	აღმასრულებელი დირექტორი	მედიის განვითარების ფონდი
მაია ქურციკიძე	კომუნიკაციების ოფიცერი	UNICEF
მარიამ წინიკაშვილი	პროექტის მენეჯერი	GRASS
მეგი კავთუაშვილი	აღმასრულებელი დირექტორი	მშობლები განათლებისთვის
დასტინ გილბრეთი	კვლევითი დირექტორის მოადგილე	CRRC
ეკა გორდაძე	კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული განვითარების და ციფრული მმართველობის უფროსი მენეჯერი	ციფრული მმართველობის სააგენტო
ურა სეთური	დირექტორი	საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია
ეკა ყუბუხიძე	კომუნიკაციების, ინფორმაციის და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სოფიო თვალავაძე	კომუნიკაციების, ინფორმაციის და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამმართველოს ხელმძღვანელი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ანა გვეტაძე თინიკო აბულაძე	მედია წიგნიერების დეპარტამენტის წარმომადგენელი	COMCOM/Log-in Georgia
გიორგი ამილახვარი	განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე	საქართველოს პარლამენტი
მაია კობახიძე	პრეზიდენტი	საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
მერაბ ლაბაძე	ელექტრონული მმართველობის, განათლების, ინოვაციების და ტექნოლოგიების კონსულტანტი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი